



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბ-ნ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბ-ნ დავით მათიკაშვილს

22 იანვარი 2019

ღია წერილი საქართველოს პარლამენტს ბიზნეს ასოციაციებისგან უზენაესი სასამართლოს კანდიდატურების წარდგენასთან დაკავშირებით

ბატონო ირაკლი და ბატონო დავით,

2018 წლის 24 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატა სია. კანდიდატა წარდგენა, როგორც ჩანს, განხორციელდა მცირე ან არანაირი ფორმალური და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურის გამოყენებით. ამასთან აღნიშნულ სიაშია მოსამართლეები, რომელთა გახმაურებულ საქმეთა გადაწყვეტილებების გარშემოც არსებობს შეკითხვები.

ამერიკის სავაჭრო პალატას, საქართველოს ბიზნეს ასოციაციას, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა და საერთაშორისო სავაჭრო პალატას გვსურს შევუერთდეთ საქართველოს საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ზრდად სიას, რათა გამოვთქვათ ჩვენი შეშფოთება კანდიდატა წარდგენის პროცესთან დაკავშირებით. უზენაესი სასამართლო არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი არა მხოლოდ, როგორც ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, არამედ ის აგრეთვე წარმოადგენს სასამართლოსა და მართლმსაჯულების სისტემის სიმბოლოს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატა შერჩევის პროცესის წარმართვა სამართლიანი, გამჭვირვალე და განჭვრეტადი პროცესების გარეშე აღვივებს მეტად უარყოფით აღქმას საქართველოს მართლმსაჯულებისა და სასამართლოების სისტემის გარშემო, რომელიც უკვე არსებობს ბევრ დამკვირვებელს შორის.

ეს ცუდია არა მხოლოდ ქვეყნისთვის, არამედ უდაოდ ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე, ბიზნეს გარემოზე და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობაზე.

შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ, პარლამენტმა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, უმოკლეს ვადებში შეიმუშავოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი და საჭიროებისამებრ- საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები, რათა ჩამოყალიბდეს კონკრეტული საკვალიფიკაციო კრიტერიუმები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის და განისაზღვროს სამართლიანი, გამჭვირვალე და დამსახურებაზე დაფუძნებული წესები მათი წარდგენისა და დანიშვნისთვის.

ამასთან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიმდინარე პროცესები კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმის საჭიროებას, რომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ მართლმსაჯულების რეფორმას უფრო ფართო სპექტრში.

ჩვენ ვაცხადებთ მზადყოფნას, ვითანამშრომლოთ მთავრობასა და პარლამენტთან ნებისმიერი გზით, იმისათვის რომ ვუზრუნველყოთ შესარჩევი და დანიშვნის პროცედურების სრული შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მოთხოვნებთან.

პატივისცემით,

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო

საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში

ასლი ეგზავნება:

საქართველოს პრემიერ მინისტრს- ბ-ნ მამუკა ბახტაძეს

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის პირველ მოადგილეს - ქ-ნ თამარ ჩუგოშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს- ბ-ნ გიორგი მიქაუტაძეს